ილია ჭავჭავაძის სახელწმიფო უნივერსიტეტში 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებისა და დასრულების, გამოცდების ჩატარების თარიღების განსაზღვრის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 აგვისტოს №664 ბრძანების "საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" მე-13 მუხლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის სასწავლო და კვლევითი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით ქეთევან გურჩიანის 2009 წლის 24 ივნისის №5544 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და უმაღლესი პროფესიული განათლების საფეხურებზე 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2009 წლის 28 სექტემბერი.
2. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და უმაღლესი პროფესიული განათლების საფეხურებზე 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასრულების თარიღად განისაზღვროს 2010 წლის 30 იანვარი.
3. 2009-2010 სასწავლო წლის საშოაბაო არდადეგები განისაზღვროს 2009 წლის 28 დეკემბრიდან 2010 წლის 16 იანვრის ჩათვლით.
4. 2009-2010 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის გამოცდები ჩატარდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან 2010 წლის 14 თებერვლამდე პერიოდში.
5. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და უმაღლესი პროფესიული განათლების საფეხურებზე 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2010 წლის 1 მარტი.
6. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და უმაღლესი პროფესიული განათლების საფეხურებზე 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულების თარიღად განისაზღვროს 2009 წლის 12 ივნისი.
7. 2009-2010 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდები ჩატარდეს 2010 წლის 14 ივნისიდან 2010 წლის 26 ივნისამდე პერიოდში.

რექტორი გიგი თევზაძე